ძირითადი ინფორმაცია:

Evolution უძღვება B2B Live Casino სერვისებს, რომლებიც მრავალი არხისა და მოწყობილობის საშუალებით მიეწოდება კლიენტების უშუალო მომხმარებელს. კომპანიის ინოვაციური პროგრამული უზრუნველყოფის, კარგად დამკვიდრებული საწარმოს ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების საშუალებით, ევოლუშენი მატებს რეალურ ღირებულებას თავის მომხმარებლებს ბიზნესში.

კომპანია „ევოლუშენ ჯორჯია“ საქართველოში ფუნქციონირებს 2018 წლის იანვრიდან და მუშაობს 24/7 საათის განმავლობაში. დღესდღეობით, კომპანია ითვლის 7000-ზე მეტ თანამშრომელს და განაგრძობს ზრდას.

სრული დასახელება: **შპს „ევოლუშენ ჯორჯია“**

საიდენტიფიკაციო ნომერი: **405209689**

საფოსტო მისამართი: **ზაირა კიკვიძის ქ. N 11 (ყოფ. მექანიზაციის ქ. 1/2), თბილისი, საქართველო.**

ვებ-გვერდი: www.evolution.com

ამჟამად, "ევოლუშენ ჯორჯია" აცხადებს **ტენდერს სხვადასხვა სახის ავეჯის დამზადებასა და შეკეთებაზე.**

MDF-ის ავეჯი; ფერი: თეთრი (სხვადასხვა ზომის, მოთხოვნის შესაბამისად):

1) **მაგიდა (თანამშრომლის)**
2) **მაგიდა (მაკიაჟის, ნათურებით)**
3) **კარადა (ტანსაცმლის)**
4) **ტუმბო**
5) **კედლის თარო (კარადის მსგავსი)**
6) **სამზარეულოს კარადა**
7) **სხვა სახის ავეჯი მოთხოვნის შესაბამისად.**

საორიენტაციოდ და მეტი თვალსაჩინოებისათვის, გთხოვთ იხილოთ სატენდერო განაცხადზე თანდართული ფოტოები.

MDF-ის ავეჯის შეკეთება/რესტავრაცია:

1) მაგიდების, კარადებისა და თაროების შეკეთება (საკეტის, ანჯამის შეკეთება/შეცვლა და ა.შ.).
2) რბილი ავეჯის (დივანი, პუფი) რესტავრაცია (ზედაპირის ქსოვილის შეცვლა/ახლის გადაკვრა).
3) სარკის დამზადება/შეცვლა.
4) სხვა სახის შეკეთებითი სამუშაო მოთხოვნის შესაბამისად.

რკინის (თერმულად შეღებილი, უჟანგავი მასალა) ავეჯის დამზადება/შეკეთება

(სხვადასხვა ზომის, მოთხოვნის შესაბამისად):

1) სამზარეულოს სკამი
2) სავარძელი
3) დივანი (2 და 3 ადგილიანი)
4) პუფი
5) ბარის სკამი
6) ყავის მაგიდა
7) ვერანდის (გარე გამოყენების) ავეჯი: მაგიდა, სკამი, დივანი (2 და 3 ადგილიანი), სავარძელი.
8) სხვა სახის ავეჯი მოთხოვნის შესაბამისად.

საორიენტაციოდ და მეტი თვალსაჩინოებისათვის, გთხოვთ იხილოთ სატენდერო განაცხადზე თანდართული ფოტოები.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფინანსურად სტაბილურ და ბაზარზე წარმატებით ოპერირებად **კომპანიებს (შპს) და გადასახადის გადამხდელ ინდივიდუალურ მეწარმეებს**, მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილებით ხის/რკინის ავეჯის დამზადებისა და რეალიზაციის სფეროში და მათი მიწოდება-აწყობის მომსახურების გაწევის მიმართულებით (სასურველია მსხვილი კომპანიები, კორპორატიული სექტორი და სხვა მსგავსი დაწესებულებები).

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაცია:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
- კომპანიის პროფაილი (შევსებული ფორმით).
- სარეკომენდაციო წერილები არსებული და/ან ყოფილი კლიენტი კომპანიებისაგან.
- შესრულებული პროექტები დასურათებული პრეზენტაციის სახით.

ტენდერის დასრულების შემდეგ, შერჩეულ კომპანიასთან/კომპანიებთან (შესაძლოა, შეირჩეს ერთზე მეტი კომპანია, დასამზადებელ ავეჯთან (ხე/MDF, რკინა) მუშაობის გამოცდილებისა შესრულებული პროექტების შესაბამისად) გაფორმდება ხელშეკრულება 1 წლის ვადით, ვადის ავტომატურად გაგრძელების შესაძლებლობით, ხელშეკრულების მხარეების ორმხრივი კმაყოფილების შესაბამისად.

უპირატესობა მიენიჭება ისეთ კომპანიას/მეწარმეს, რომელსაც შეეძლება **კონსიგნაციის პირობით თანამშრომლობა** და **შეკვეთების დროულად/მოკლე ვადებში ჩაბარება**.

პროდუქციის მიწოდების/მომსახურების გაწევის ადგილები:

- **თბილისი, ზაირა კიკვიძის ქ. N 11 (ყოფ. მექანიზაციის ქ. N 1/2); შენობა A, C, D.**
- **თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N 24 (შენობა H).**
- **თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N 15-17 (შენობა E).**
- **თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N 2 (შენობა G).**

დამატებითი შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ ელ. ფოსტაზე:

ნათია ხუჭუა - შესყიდვების სპეციალისტი; nkhuchua@evolution.com

ნინო ნადირაძე - ოფის მენეჯერი; nnadiradze3@evolution.com